საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

ბატონო შალვა,

ბოლო ათწლეულებში ხშირია საუბარი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა სტუდენტ-ახალგაზრდობაში ძალიან დაბალია. ამას ადასტურებს როგორც შიდა, ისე გარე კვლევები. ეს აისახა კიდეც სამთავრობო დოკუმენტში „სახელმწიფო ენის სტრატეგიაში", რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2021 წელს. ამ სამთავრობო დოკუმენტში ვკითხულობთ: ფაქტია **„წიგნიერების დაბალი დონე და ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის პრაქტიკული კურსების არარსებობა (გარდა პროფილური ფაკულტეტებისა) უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებში ვერ უზრუნველყოფს აბიტურიენტობის დროს შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და განვითარებას. სტრატეგიაზე მუშაობისას გაანალიზებული იქნა რუსთაველის საზოგადოების მიერ ჩატარებული ზედაპირული მოკვლევის მასალები, რომლებიც ცხადად აჩვენებენ საუნივერსიტეტო საფეხურზე ქართული ენის ფლობისა და წიგნიერების დაბალ დონეს"** („სახელმწიფო ენის სტრატეგია", თბ. 2021, გვ. 30)

ბატონო შალვა, მოგეხსენებათ, 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებმა აიძულა საბჭოთა ხელისუფლება 1979 წლის 10 აპრილს მიეღო დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (გაზეთი „კომუნისტი", N 85, 1979). ამ დადგენილების საფუძველზე **1980 წლიდან საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ყველა ფაკულტეტზე ისწავლებოდა ორსემესტრიანი კურსი ქართული ენისა** („ქართული მეტყველების კულტურა").

2005 წელს რევოლუციის გზით მოსულმა არაეროვნულმა ხელისუფლებამ სავალდებულო **საუნივერსიტეტო საგანი „ქართული ენა" გააუქმა.** ეს იყო ნაწილი იმ დანაშაულებრივი ღონისძიებებისა, რომლებიც იმ ხელსუფლებამ ჩაიდინა სახელმწიფო ენის მიმართ (დახურეს ენის სახელმწიფო პალატა; გააუქმეს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია; პარლამენტში გააუქმეს სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი; დაიხურა ყველა რადიო და ტელეგადაცემა

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-2104/25
18 03 2025 წ. ფურცელი 2

ქართული ენის შესახებ; დაიხურა ყველა ჟურნალ-გაზეთი ქართული ენის შესახებ; სკოლაში შემცირდა ქართული ენის საათები...)...

ბატონო შალვა, ამჯერად თქვენს ყურადღებას მივაპყრობბთ უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო ენის სწავლების უმძიმეს მდგომარეობაზე. ჩვენი ღრმა რწმენით, სახელმწიფო ენის სწავლებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს. მდგომარეობის გამოსწორებისათვის ნაბიჯები სასწრაფოდ უნდა გადაიდგას. **გთავაზობთ წინადადებას:**

აღდგეს წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ გაუქმებული სახელმწიფო ენის სავალდებულო სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში. შესაბამის კანონში შეტანილი იქნეს დამატება:

„საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილ სახელმწიფოენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა“.

ამგვარი საკანონმდებლო ცვლილება იქნება სამართლიანობის აღდგენა სახელმწიფო ენის მიმართ და სახელმწიფოს მიერ ქართულ ენაზე ზრუნვის გამოხატულება.

პატივისცემითა და იმედით.

ნანა მაჭავარიანი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი გოგოლაშვილი, თსუ არნ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საკონტაქტო პირი ნანა მაჭავარიანი, [redacted]

[redacted]

ნინა [redacted]